**თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის**

**სხდომის ოქმი №14**

თბილისი, 10 ნოემბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 10 ნოემბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 15:06 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

**თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:**

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

**დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ**:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

**კომისიის სამდივნოს წევრები**:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

**კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:**

**საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:**

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES) – დავით ღონღაძე.

**ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:**

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:06 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.

2. კომისიის მიერ წინა სხდომებზე განხილულ საკითხებზე უწყებების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა.
3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა პირველი-რვა ნოემბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ კომისიის 2021 წლის 10 ნოემბრის სხდომა იქნებოდა ბოლო, რადგან უახლოეს დღეებში ცესკო გამოაქვეყნებდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის არჩევნების მეორე ტურის შემაჯამებელ ოქმს, რაც ნიშნავს იმას, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია წყვეტს საქმიანობას. ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში კომისია წარმოადგენს დეტალურ ანგარიშს სხდომებზე განხილული საკითხებისა და მათზე განხორციელებული რეაგირებების შესახებ. ბატონი თორნიკეს თქმით, კომისიამ მისი საქმიანობის პერიოდში, საერთო ჯამში, 180-ზე მეტი საკითხი განიხილა, გამოსცა 2 რეკომენდაცია, სხდომებზე წარმოდგენილ იქნა 3 სხვადასხვა პრეზენტაცია, რომლებიც შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი სიების სრულყოფას (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პრეზენტაცია) და საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ სიახლეებს (ცესკო-ს პრეზენტაცია); ასევე, უწყებათაშორისი კომისიის მონაწილეობით გაფორმდა მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციასთან დაკავშირებით. სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას ბატონმა თორნიკემ განუცხადა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში კომისიამ საკმაოდ ინტენსიურად იმუშავა და გულითადი მადლობა გადაუხადა მათ თანამშრომლობისთვის.

შემდგომ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შეეხო წინა სხდომაზე წამოჭრილ საკითხებს და მათზე განხორციელებულ რეაგირებებს.

წინა სხდომაზე გახმიანებულ ინფორმაციაზე (ბატონი გიგი ჩიხლაძის („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) და ქალბატონი ლელა ხათრიძის („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) ინფორმაცია ქუთაისში 90-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრ იზა ჩირგაძის საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია შესაძლო გაყალბების თაობაზე. მათი თქმით, მითითებულმა ქალბატონმა ინფორმაცია მიაწოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, რის შემდეგაც ეს თემა გახდა საჯარო) ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ოსაძემ. მან განაცხადა, რომ ი.ჩ-ს საკითხთან დაკავშირებით 3 ნოემბერსვე დაიწყო გამოძიება ქუთაისის რაიონულ სამმართველოში იძულების ფაქტზე, სსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო „112“-ზე გაკეთებული შეტყობინება მითითებული ქალბატონის მიმართ იძულების შესახებ. გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა თავად ი.ჩ., რომელიც

ფლობდა ინფორმაციას საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე; მისი გამოკითხვიდან გამომდინარე, დაგეგმილია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები; გამოიკითხება გავრცელებულ ინფორმაციასთან კავშირში მყოფი ყველა პირი. ამ ეტაპზე საქმეს აქვს მიმდინარე სტატუსი და დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს ზემოხსენებული სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგი და კონკრეტული მტკიცებულების საფუძველზე რაიმეს გამოკვეთის შემთხვევაში მიიღება კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ ანა წითლიძის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით (არჩევნების დღეს სენაკის სამხედრო ბაზაზე ზუგდიდელი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამხედრო მოსამსახურეების დატოვების საკითხი) ისაუბრა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გრიგოლ გიორგაძემ, რომლის თქმით, წითლიძის მიერ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გავრცელებული დეზინფორმაცია განპირობებული იყო ვიწრო პარტიული ინტერესებით და მიზნად ისახავდა სამხედრო ძალების დისკრედიტაციას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. აღნიშნული დეზინფორმაცია, თითქოს სამხედრო მოსამსახურეებს სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის ბაზიდან არ მიეცათ არჩევნების დღეს ზუგდიდში ხმის მიცემის საშუალება, არის სიცრუე. თავდაცვის ძალების დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურების მიერ განაწესის გადანაწილება მოხდა ისეთი ფორმით, რომ ყველა სამხედრო მოსამსახურეს როგორც არჩევნების პირველ, ისე მეორე ტურში მიეცათ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად განსაზღვრულ საარჩევნო უბნებზე. როგორც ბატონმა გრიგოლმა აღნიშნა, ზემოთქმულის დასაბუთება შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტაციით, რომლის აღრიცხვაც ხდება თავდაცვის სამინისტროში. მისივე განცხადებით, თავდაცვის ძალები წარმოადგენს პოლიტიკურად ნეიტრალურ სახელმწიფო ინსტიტუციას და იქვე აღნიშნა, რომ, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, მკვეთრად შეიცვალა ხმის მიცემის პირობები სამხედრო მოსამსახურეებისთვის – გაუქმდა დახურული უბნები და დღეს სამხედრო მოსამსახურეებს სრულიად თავისუფლად საარჩევნო უბნებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი საკუთარი შეხედულებების შესაბამისად.

წინა სხდომაზე განხილულ ინფორმაციასთან დაკავშირებით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ ლევან ბეჟაშვილის მიერ გამართული ბრიფინგი არჩევნების დღეს გამოვლენილი შესაძლო დარღვევების თაობაზე) ბატონმა გიორგი სანტურიანმა წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია. მისი თქმით, თითქოს სამგორის 75-ე უბანზე ნაპოვნი იქნა პირველი ტურის ბიულეტენები, რაზეც საჩივარიც იყო წარმოდგენილი, არ დადასტურდა. შემდგომში დავა გაგრძელდა სასამართლოში და იქაც ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება.

თელავის მე-20 უბანთან დაკავშირებით, არ დადასტურდა კოვიდსიაში მყოფი პირის მიერ უბანზე ხმის მიცემა. ამ შემთხვევაში, ამომრჩეველი, რომელიც ნამდვილად იყო კოვიდსიაში რეგისტრირებული, გამოცხადდა საარჩევნო უბანზე, რამდენადაც აღარ იყო ინფიცირებული და შესაბამისი ცნობაც წარმოადგინა. აქედან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესით მან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში მხოლოდ საარჩევნო უბანზე და კოვიდსიის მეშვეობით მას მეორეჯერ ხმა აღარ მიუცია.

რაც შეეხება თბილისში, სამგორის 106-ე უბანზე კოვიდინფიცირებული ცოლ-ქმრის ყოფნას (უფლებამოსილებას ახორციელებდნენ), არ დადასტურდა. გამოკვლეულ იქნა მტკიცებულებები და რეალურად ტესტირების შედეგები იყო უარყოფითი.

ცესკო-ს წარმომადგენლის თქმით, სხვა ფაქტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი რამდენიმე საჩივრის განხილვაც დასრულდა მომჩივანთათვის უარყოფითი შედეგით, რადგან ფაქტები არ დადასტურდა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა – დაზუსტდა თუ არა ცესკო-ს მიერ შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების თარიღი. ბატონი გიორგი სანტურიანის საპასუხო განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისიებში მიმდინარე სხდომების შედეგების დაჯამების შემდეგ ცესკო იმსჯელებს კონკრეტულ თარიღზე, თუმცა, მისივე თქმით, 13 ნოემბერი არის შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების ბოლო ვადა.

პირველი-რვა ნოემბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვის ფარგლებში, პირველ საკითხზე (მდინარაძე: „მთაწმინდაზე აღმოჩნდა კახა კალაძის ხმების მთელი დასტა მოპარული და გადადებული მელიას მხარეს. 10-ბიულეტენიანი დასტა იყო მოპარული და გადადებული მელიას ხმების მხარეს. ასევე, იყო ფაქტი პირველ ტურზე, როდესაც ვხედავდით, რომ ქალბატონმა ასეთი დასტა ჩაიდო ჩანთაში") ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინფორმაციაში საუბარია მთაწმინდის 31-ე უბანზე. მისი თქმით, კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია თითოეული ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე 5 საარჩევნო უბნის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადათვლა. ამ შემთხვევაში ცესკო-ს რეკომენდაციის საფუძველზე გადათვლილ იქნა 7 უბანი და სწორედ ზემოაღნიშნული გადათვლების ფარგლებში გამოვლინდა, რომ 31-ე უბანზე 10 ბიულეტენი შეცდომით იყო იმ დასტაში, სადაც განთავსებული იყო ნიკანორ მელიას ხმები. ამ ფაქტის გამოვლენის შემდეგ 10 ხმა დაემატა კახა კალაძეს და, ბუნებრივია, 10 ხმა დააკლდა ნიკანორ მელიას. კონკრეტულად, რით იყო ეს გამოწვეული, ამ ეტაპისთვის გაურკვეველია, და აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივარიც არ ყოფილა წარმოდგენილი საარჩევნო ადმინისტრაციაში.

რაც შეეხება ამავე ინფორმაციაში გახმიანებულ მსგავს ფაქტს პირველ ტურთან მიმართებით, ბატონი გიორგი სანტურიანის განცხადებით, სავარაუდოდ, საუბარია ზუგდიდის მე-8 უბანზე. არც ამ უბანთან დაკავშირებით ყოფილა რაიმე საჩივარი წარმოდგენილი საარჩევნო ადმინისტრაციაში. ცესკო-ს წარმომადგენლის თქმით, ზუგდიდის მე-8 უბნის შემაჯამებელი ოქმის გადამოწმების შემდგომ რაიმე სახის დისბალანსი არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, ე.წ. ბიულეტენების გატანაც არ დასტურდება.

მამუკა მდინარაძის განცხადებასთან დაკავშირებით ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმაც. ბატონი გიორგი ოსაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში რაიმე სახის მომართვა ზემოხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით არ ფიქსირდება. მისი თქმით, ამ კუთხით რაიმე დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ მომართვის შემთხვევაში სამინისტრო მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

შემდეგ საკითხზე („გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრი, ქუთაისის ვიცემერობის კანდიდატი გაერთიანებული ოპოზიციიდან იმედა კლდიაშვილი, ქუთაისში, სუს-ის შენობასთან დააკავეს. პარტიის ინფორმაციით, ის სუს-ის მხრიდან იმ ადამიანზე ზეწოლას აპროტესტებდა, ვისაც ქუთაისში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ჰქონდა ინფორმაცია) ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ 2 ნოემბერს ქუთაისში სახელმწიფო უსართხოების სამსახურის შენობასთან ნამდვილად მივიდა პოლიტიკური პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრი ი.კ., რომელმაც თავისი ავტომობილი გააჩერა უშუალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესასვლელთან და შესასვლელის ერთგვარი ბლოკირება მოახდინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი პირი მივიდა მასთან და მოსთხოვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა (გაეთავისუფლებინა სახელმწიფო შენობის შესასვლელი), თუმცა, ხსენებული პირი არ დაემორჩილა პოლიციელის მხრიდან არაერთგზის დაფიქსირებულ კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი დაკავების შესახებ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად. ბატონი გიორგის თქმით, გაიმართა სასამართლო და ი.კ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ბექა ზეგარდელმა (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) აღნიშნა, რომ ქუთაისში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მქონე პირზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შესახებ განცხადება მოკლებულია მტკიცებულებებს და არ შეესაბამება სიმართლეს.

მომდევნო საკითხზე (18 წლის დამკვირვებელ მარიამ ტრდატიანს არჩევნების დღეს მეტადონის პროგრამაში ჩართული 10 მამაკაცი ფიზიკურად გაუსწორდა, მობილური წაართვა და ყველა ის ვიდეო წაუშალა, სადაც კონკრეტული დარღვევები იყო დაფიქსირებული) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 2 ნოემბერს დაიწყო გამოძიება მ.ტ-ს მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ძალადობისა და მუქარის ფაქტზე. გამოძიების მიმდინარეობისას დადგინდა, რომ ხსენებული პიროვნება – დამკვირვებელი ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, საარჩევნო უბნიდან თავმჯდომარის მიერ გაძევებულ იქნა კონკრეტული დარღვევის გამო. როგორც მ.ტ განმარტავს, საარჩევნო უბნის მიმდებარედ მას თავს დაესხნენ მისთვის უცნობი პირები და გასტაცეს მობილური ტელეფონი, რომელშიც გადაღებული ჰქონდა საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული დარღვევები, დაემუქრნენ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით და კუთვნილი ტელეფონიდან წაუშალეს გადაღებული ვიდეომასალა. ბატონი გიორგი ოსაძის თქმით, დანიშნულია ექსპერტიზა, მიმდინარეობს ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა, რაიმე დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულება ამ ეტაპისთვის წარმოდგენილი არ არის და შედეგების შესახებ მოგვიანებით იქნება ცნობილი.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხთან დაკავშირებით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზესტაფონის ორგანიზაციის წევრს მამუკა დათიაშვილს მანქანა დაუზიანეს) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწყებულია გამოძიება მ.დ-ს ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე (სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილი). საქმეზე გამოკითხულია თავად მ.დ., დანიშნულია შესაბამისი საქონელთმცოდნეობითი ექსპერტიზა. ქმედების განმახორციელებელი

პირი ამ ეტაპისთვის დადგენილი არ არის. ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტისა თუ გაგრძელების შესახებ.

შემდეგ საკითხზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიორგი კირთაძე ამბობს, რომ თორნიკე რიჟვაძის მამა ბათუმში საკრებულოს წევრებს ენმ-დან ემუქრება და მოსყიდვას ცდილობს) ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ მის უწყებაში კონკრეტული შეტყობინება არ შესულა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრო რეაგირებას ვერ განახორციელებდა.

ამავე საკითხზე გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, განაცხადა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს აღნიშნული ინციდენტის თაობაზე საქმის შესწავლა. შედეგების თაობაზე მოგვიანებით იქნება ცნობილი.

მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (პირველად მოხდა ისე, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პროცესი იწერებოდა ვიდეოფირზე უბნებზე დამონტაჟებული კამერების საშუალებით. ცესკო-ს დადგენილების მიხედვით, გადაღება არ მიმდინარეობდა ისეთ უბნებზე, სადაც ამომრჩეველი 300-ზე ნაკლები იყო), როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, მეტი გამჭვირვალობისთვის ვიდეოფიქსაციით პროცედურის განხორციელების შესაძლებლობა გათვალისწინებულია 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმებით. ამასთან, პირველად განხორციელდა ხმების დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია, რაც იძლევა საშუალებას, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა იხილოს ჩაწერილი ვიდეო-აუდიომასალა, რომელიც ხელმისაწვდომია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე. ბატონი გიორგი სანტურიანის თქმით, საარჩევნო უბანზე, სადაც 300-ზე ნაკლები ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული, ვერ ხორციელდებოდა ვიდეოფიქსაცია. ეს რეგულაცია დადგინდა ცესკო-ს დადგენილებით და მოქმედებდა როგორც პირველ, ისე მეორე ტურში. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, მეორე ტურში იყო 1867 საარჩევნო უბანი, მათ შორის, კოვიდუბნები. დაახლოებით, 117 საარჩევნო უბანზე არ განხორციელებულა ვიდეოფიქსაცია სწორედ ზემოხსენებული დადგენილებიდან გამომდინარე ამომრჩეველთა მცირერიცხოვნობის გამო, ხოლო 292 უბანზე რაიმე მიზეზის გამო არ არსებობს ვიდეოჩანაწერები. ასეთ საარჩევნო უბნებთან დაკავშირებით ცესკო-მ მიმართა რეკომენდაციით საარჩევნო კომისიებს, ლოტოტრონის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოევლინათ ორი საარჩევნო უბანი, სადაც მოხდებოდა ბიულეტენების გადათვლა. ზემოდასახელებული 292 უბნიდან გადაითვალა 52 უბანი, რომლის შედეგებსაც ცვლილება არ მოუხდენია საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმებში.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე („შაბათის ფორმულას" ინფორმაციით, მარტვილში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი რობერტ აბრახამია ადგილობრივ მოსახლეობას „ქართული ოცნებისთვის" სასარგებლოდ ხმის მიცემას აიძულებს. კერძოდ, აბრახამია უზრუნველყოფს ხელისუფლების სასარგებლოდ ხმების მობილიზებას. მეთოდები უცვლელია – დაშინება, ზეწოლა, მოსყიდვა. მარტვილიდან 7 კილომეტრში არის სოფელი სერგიეთი, რომელსაც სუს-ის სოფელს ეძახიან) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბექა ზეგარდელმა, განაცხადა, რომ ინფორმაციაში მოხსენიებული პირი არ მუშაობს სახელმწიფო

უსაფრთხოების სამსახურში. ამასთან, ბატონი ბექას თქმით, ბუნებრივია, მისი უწყება ვერ განახორციელებდა ვერანაირ რეაგირებას.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) წარმომადგენელი, ქალბატონი ლელა ხათრიძე, დაინტერესდა, კომისიის სხდომაზე განხილულ ჯერ კიდევ მიმდინარე საკითხებზე ინფორმაცია უწყებების მხრიდან რეაგირებების შესახებ თუ იქნებოდა მისთვის ხელმისაწვდომი. მან აქვე კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს მადლობა გადაუხადა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის პერიოდში კონსტრუქციული მუშაობისთვის. ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა ქალბატონი ლელას საპასუხოდ განაცხადა, რომ კომისიის სხდომებზე განხილული ყველა საქმე და, მათ შორის, მიმდინარე საკითხებზე განახლებული ინფორმაცია აისახებოდა კომისიის საბოლოო ანგარიშში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

კომისიის წევრი უწყებების წარმომადგენლებმაც მადლობა გადაუხადეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და კომისიის საქმიანობაში ჩართულ ყველა პირს ამ პერიოდის განმავლობაში გაწეული სამუშაოსთვის.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ შეაჯამა კომისიის სხდომა და აღნიშნა, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ მისი შექმნიდან დღემდე შეძლო თავისი მანდატის განხორციელება, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა მხარეთა ჩართულობის გარეშე. მან იუსტიციის მინისტრის, ბატონი რატი ბრეგაძის, სახელით მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და კომისიის საქმიანობაში ჩართულ ყველა პირს პროდუქტიული თანამშრომლობისთვის.

სხდომა დასრულდა 15:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: